



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მიქლიო



მიქლიო

მიქლიო, ქათამბარკალა (*Cantharellus cibarius*), ქუდიანი სოკო აფილოფორასნაირთა რიგის მიქლიოსებრთა ოჯახისა. მისი ყვითელი ქუდი, რ-ის დიამეტრი 10 სმ აღწევს, თავდაპირველად ამოზნექილია, შემდეგ კი – დაბრისებრი. აქვს შიშველზედაპირიანი და ტალღოვანი ან თათისებრ დანაკვთული შეკეცილი კიდეები; ქვედა მხარეზე – ჩანგლისებურად დატოტვილი ძარღვები. ფეხი ძირისაკენ თანდათანობით წვრილდება. სიგრძე – 4-7 სმ, დიამეტრი –

1-3 სმ. მკვრივი და მშრალი რბილობი თავიდან მოყვითალოა, შემდეგ – მოთეთრო. საქართველოში ყველგან იზრდება – ფოთლოვან და შერეულ ტყეებში ზაფხულსა და შემოდგომაზე. საკვებად ვარგისია ნებისმიერი სახით.

ლიტ.: ნ ა ხ უ ც რ ი შ ვ ი ლ ი ი., საქართველოს სოკოები, თბ., 2007.

ი. ნახუცრიშვილი
